საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5121
09/09/2022

5121-21-2-202209091510

შპს „ნიუ ჯეო როუდს“
მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი,
საირმის ქუჩა N35, სართული 1,
კომერციული ფართი N3.
ელ.ფოსტა: Giorgikukhalashvili7@gmail.com

ასლი: zakir.gurbanov.1958@mail.ru

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის 11 აგვისტოს განცხადება (N 3972), რომელიც ეხება მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყიზილაჯლოში ასფალტის საწარმოს, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებლისა და ბიტუმის რეზერვუარების მოწყობა-ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიშს.

სააგენტოს წარმომადგენლის მიერ შპს „ნიუ ჯეო როუდის“ საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ საწარმოს მოწყობის სამუშაოები უკვე შესრულებულია, მათ შორის მოწყობილია: ასფალტ-ბეტონის ნარევის დამზადების საწარმო, ქვიშა-ხრეშის გადამუშავების დანადგარი და ბიტუმის რეზერვუარები.

ვინაიდან, სკოპინგის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია არ შეესაბამება ადგილზე არსებულ მდგომარეობას გაცნობებთ, რომ - სკოპინგის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სადაც შეფასებული და გაანალიზებული იქნება საწარმოს ტერიტორიაზე ამჟამად არსებული მდგომარეობა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების სახეები.

ამასთან, აღსანიშნავია რომ 2022 წლის 2 სექტემბერს სოფ. ყიზილაჯლოში გამართულ სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვაზე მოსახლეობის მხრიდან დაფიქსირდა უარყოფითი პოზიცია პროექტთან დაკავშირებით, ხოლო 2022 წლის 7 სექტემბერს სააგენტოში წარმოდგენილი იქნა სოფ. ყიზილაჯლოს მოსახლეობის ერთობლივი განცხადება პროექტის განხორციელებაზე მოსახლეობაში არსებული წინააღმდეგობრივი პოზიციის შესახებ. წარმოდგენილ განცხადებაში - ასფალტის ექსპლუატაციის შედეგად გარემოზე, მათ შორის ადამინის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედების გათვალისწინებით, მოსახლეობა ითხოვს არ განხორციელდეს დაგეგმილი საქმიანობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, განახლებულ სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი იქნას ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების, მათი პოზიციების, დამოკიდებულების, აზრის გათვალისწინებისა და შეთანხმების (არსებობის შემთხვევაში) ამსახველი ინფორმაცია.

ამასთან, მნიშვნელოვანია წარმოდგენილი იქნეს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების ქვეთავი, რომელიც მომსახურე/დასაქმებულ პერსონალზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების შესახებ ინფორმაციის გარდა, მოიცავს ასევე უახლოესი დასახლებული პუნქტის მოსახლეობაზე და მიმდებარედ არსებულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების საკითხს.

სკოპინგის ანგარიშში (გვ. 36-37) მოცემული ინფორმაცია წარმოდგენილია არასახელმწიფო ენაზე, რაც საჭიროებს დაზუსტებას. დამატებით გაცნობებთ, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 73-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე, შესაბამისად სკოპინგის ანგარიშში მოცემული ნებისმიერი სახის ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს სახელმწიფო (ქართულ) ენაზე;

მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე, წერილში მითითებული საკითხების გათვალისწინებით განახლებული სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენამდე სააგენტო წყვეტს ადმინისტრაციულ წარმოებას პროექტთან დაკავშირებით.

დანართის სახით გიგზავნით სააგენტოში სოფ. ყიზილაჯლოს მოსახლეობის მიერ წარმოდგენილ ერთობლივ განცხადებას.

დანართი: 4 (ოთხი) ფურცელი.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო